დამოუკიდებელი ინსპექტორის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2024 წლის 4 ნოემბერი**

დისციპლინური საქმე №137/24
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2024 წლის 23 ოქტომბრის №137 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2024 წლის 16 ოქტომბრის №448/137-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მიუხედავად სასამართლოსთვის არაერთი მიმართვისა, -- საქალაქო სასამართლო მის სარჩელს არ იღებს განსახილველად.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. საქმის მასალების შესწავლის შედეგად, დადგინდა, რომ 2023 წლის 04 დეკემბერს, -- -- სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე -- -- მიმართ, მოთხოვნით ბათილად იქნას ცნობილი ბმა ,,--" 2016 წლის 21 მარტის და 2015 წლის 04 სექტემბრის კრების ოქმები და უძრავი ქონება აღირიცხოს ამხანაგობის საკუთრებად.

-- საქალაქო სასამართლოს მოსამართლის -- -- 2023 წლის 5 დეკემბრის №-- განჩინებით -- -- უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. სასამართლოს განმარტებით, წინამდებარე შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა იყო ბუნდოვანი და დასაზუსტებელი.

2.2. 2024 წლის 01 მარტს, -- -- წარმომადგენელმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების -- -- და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „--“ მიმართ, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმების ბათილად ცნობის თაობაზე.

-- საქალაქო სასამართლოს მოსამართლე -- -- 2024 წლის 5 მარტის №-- განჩინებით -- -- წარმომადგენელს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. სასამართლომ ჩათვალა, რომ წარმოდგენილი აღიარებითი სარჩელიდან არ ჩანდა მოსარჩელის კანონიერი, იურიდიული ინტერესი, რის გამოც სარჩელი ვერ აკმაყოფილებდა აღიარებითი სარჩელის წარმოდგენისათვის კანონით გათვალისწინებულ პირობებს.

2.3. 2024 წლის 03 ოქტომბერს, -- -- წარმომადგენელმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების -- -- და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „--“ მიმართ, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმების ბათილად ცნობის თაობაზე.

-- საქალაქო სასამართლოს მოსამართლე -- -- 2024 წლის 8 ოქტომბრის №-- განჩინებით -- -- წარმომადგენელს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. სასამართლომ ჩათვალა, რომ წარმოდგენილი აღიარებითი სარჩელიდან არ ჩანდა მოსარჩელის კანონიერი, იურიდიული ინტერესი, რის გამოც სარჩელი ვერ აკმაყოფილებდა აღიარებითი სარჩელის წარმოდგენისათვის კანონით გათვალისწინებულ პირობებს.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები, ხოლო 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი

ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/განაჩენის კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტებისა და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სარჩელში უნდა აღინიშნოს მოსარჩელის მოთხოვნა. სასარჩელო მოთხოვნის შინაარსი შეადგენს სარჩელის საგანს, სასამართლო იხილავს სარჩელს და გამოაქვს გადაწყვეტილება სწორედ ამ სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში, რომლებსაც სასამართლო ვერც შეცვლის და ვერც გააფართოვებს, აქედან გამომდინარე, სარჩელში ნათლად, გარკვევით და ამომწურავად უნდა იყოს მითითებული, თუ რას მოითხოვს მოსარჩელე მოპასუხისგან.

სარჩელის ჩამოყალიბებისას მოსარჩელე დამოუკიდებელია. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად. როდესაც მხარე სარჩელით მიმართავს სასამართლოს ბუნებრივია ივარაუდება, რომ მას აქვს ინტერესი მის მიერ აღძრული სარჩელის მიმართ, მაგრამ მხოლოდ ამგვარი ინტერესი (სასამართლოს მეშვეობით დაიცვას საკუთარი ინტერესი) არ არის საკმარისი წინაპირობა სარჩელის დასაშვებად. ამისათვის აუცილებელია, რომ იგი პასუხობდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ლ” პუნქტის პირობას, რომლის მიხედვითაც აღიარებით სარჩელში უნდა აღინიშნოს იურიდიული ინტერესი.

განსახილველ შემთხვევაში, დისციპლინური საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები წარმოადგენს მოსამართლის მიერ, შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას და არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დისციპლინური გადაცდომა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტით, 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

-- -- 2024 წლის 23 ოქტომბრის №137 საჩივრის საფუძველზე მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

შოთა ქადაგიძე
დამოუკიდებელი ინსპექტორი